ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 304

"25" ივლისი 2025 წ.

ქ. თბილისი

„შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" (ს/ნ. 204460957) და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, მისამართზე - ქ. თბილისი, ოთარ ონიაშვილის ქ. №59-ში არსებულ (ს/კ. №01.10.12.033.009) მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით გაცემული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში, ნათელა ურუმაშვილის (პ/ნ. 01011013838) მიერ შესრულებული ვალდებულების დადასტურების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების" 35-ე მუხლისა და „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" (ს/ნ. 204460957) და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, მისამართზე - ქ. თბილისში, ოთარ ონიაშვილის ქ. №59-ში არსებულ (საკადასტრო კოდი: №01.10.12.033.009) მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით გაცემული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში, ნათელა ურუმაშვილის (პ/ნ. 01011013838) მიერ შესრულებული ვალდებულების დადასტურების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 23 ივლისის №25.1248.1409 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქ. თბილისში, ოთარ ონიაშვილის ქ. №59-ში (ს/კ. №01.10.12.033.009) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული (განკარგულებები №23.347.387, 15.03.2023; №23.494.557, 07.04.2023) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული (განკარგულებები №127, 17.03.2023; №159, 11.04.2023), ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში, ნათელა ურუმაშვილის (პ/ნ 01011013838) მიერ შესასრულებელი ვალდებულება ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, თანხის გადახდის ნაწილში ჩაითვალოს შესრულებულად და

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ამავე განკარგულებებით (№127, 17.03.2023; №159, 11.04.2023) გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებები დარჩეს ძალაში.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე